პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 252 (5282)

1974 წ. 21 დეკემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გაგულაშვილის წარმატება

სტარტი ... სსრ კავშირის თასის გათამაშებაში ... შეჯიბრება გახსნეს ესპადრონისტებმა. საპატიო ჯილდო მოიხვეჭა მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, მინსკელმა ვ. სიდიაკმა. მეორე ადგილი დაიკავა მოსკოველმა ვ. კროვოპუსკოვმა, მესამე — საქართველოს წარმომადგენელმა ა. გაგულაშვილმა.

ასპარეზობაში მონაწილეობს 200 უძლიერესი მოფარიკავე, მათ შორის, 20 მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი.



სსრ კავშირის ჩემპიონატი

## დამატებით დროში

მინსკი, 19 დეკემბერი. ბელორუსიისა და უკრაინის საუკეთესო გუნდების მატჩი უაღრესად მძაფრი გამოდგა. ტაიმი რტი-ს კალათბურთელებმა მოიგეს 7 ქულით (50:43). შესვენების შემდეგ გააქტიურდა „სტროიტელი" და... ბოლო წუთებზე გაათანაბრა კიდეც ანგარიში — 85:85.

დამატებით დროში გაიმარჯვა „სტროიტელმა" (95:94), რომელიც უკეთ ასრულებდა საჯარიმო სროლებს.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 14 | 12 | 2 | 1208—1011 | 12 |
| „დინ." (თბ.) | 12 | 11 | 1 | 1075—987 | 11 |
| ცსკა | 12 | 9 | 3 | 1118—963 | 9 |
| „დინ." (მ.) | 12 | 9 | 3 | 1031—899 | 9 |
| „ჟალგირისი" | 12 | 8 | 4 | 1035—1002 | 8 |
| „კალევი" | 12 | 5 | 7 | 965—955 | 5 |
| „სტროიტელი" | 11 | 4 | 7 | 901—942 | 4 |
| „სტატიბა" | 12 | 2 | 10 | 947—1097 | 2 |
| რტი | 15 | 2 | 13 | 1180—1357 | 2 |
| „ურალმაში" | 14 | 1 | 13 | 1110—1352 | 1 |

# პრეტენდენტები

დიდი ხანია უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი არ ყოფილა ასეთი დაძაბული და საინტერესო. ადრე, ბრძოლა უმაღლესი ტიტულისთვის ძირითადად ორ აღიარებულ ლიდერს შორის სწარმოებდა. ეს ლიდერები იყვნენ ცსკა და ლენინგრადის „სპარტაკი". ახლა, ამ დავას უმაღლეს დონეზე კიდევ სამი კლუბი შემოუერთდა — თბილისისა და მოსკოვის „დინამო", კაუნასის „ჟალგირისი".

როგორც ხედავთ, ჩემპიონატის მონაწილეთა ერთი ნახევარი საპრიზო ადგილებისთვის იბრძვის. ეს სასიხარულო ფაქტია და ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ჩვენი საკლუბო კალათბურთის მაღალ დონეს.

რის ხარჯზე მოხდა თვისობრივი ცვლილებები ჩვენს კალათბურთში? თბილისის „დინამოს" შესახებ ბევრი რამ დავწერეთ, ასე რომ მას, ამჯერად, არ შევეხებით. მოსკოვის „დინამოზე" კი ერთი-ორი სიტყვა უსათუოდ უნდა ვთქვათ. ამ გუნდის წლევანდელი წარმატება უმთავრესად მსოფლიოს ჩემპიონთა სამეულს (ხარჩენკოვს, ბოლოშევსა და ჟიგილიის) ეკუთვნის. მოსკოველები უკვე რამდენიმე წელია აზუსტებენ და ხვეწენ შემადგენლობას, რომელმაც საუკეთესო ვარიანტს, როგორც ჩანს, წლეულს მიაღწია.

ლენინგრადის „სპარტაკი" სპეციალისტთა ერთსულოვანი აღიარებით საჩემპიონოდ ემზადება. საამისოდ მას ყველა მონაცემი აქვს. სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ვ. კონდრაშინმა უკვე კარგა ხანია შექმნა ძლიერი და ბრძოლისუნარიანი კოლექტივი, რომლის მთავარი ღირსება... დაცვაა. ნევისპირელები წლეულს თავდასხმაშიც ძლიერ თამაშობენ, მაგრამ ისევ და ისევ საიმედო დაცვის წყალობით, თუმცა, როგორც მწვრთნელმა ამას წინათ განაცხადა, ჩავარდნები მის გუნდსაც აქვს. ვ. კონდრაშინს მხედველობაში ჰქონდა ცსკა-სთან მატჩები, რომლის დროსაც ლენინგრადელები უხეშად ცდებოდნენ მარტივ სიტუაციებში.

სსრ კავშირის ცამეტგზის ჩემპიონისთვის, მოსკოვის არმიელთა კოლექტივისთვის 42-ე ჩემპიონატი წარუმატებლად დაიწყო. ცსკა-მ სამი შეხვედრა წააგო და ვერაფრით მოიმაგრა ადგილი მისთვის ავრე რიგად ნაცნობ სატურნირო ცხრილის უმაღლეს საფეხურზე. არა და შემადგენლობის სიძლიერით მას, რა თქმა უნდა, ვერავინ გაუტოლდება. წლეულს არმიელებმა ახალი, საიმედო შევსება მიიღეს საბჭოთა კალათბურთის მთავარი სნაიპერის, კიეველი სალნიკოვის სახით. მაგრამ მან, ჯერჯერობით საერთო ენა ვერ გამონახა გუნდის სხვა წევრებთან. ამის მიზეზი ალბად ისაა, რომ „სტროიტელში" სალნიკოვი სხვა ფუნქციებს ასრულებდა, ცსკა-ში კი მისგან სულ სხვას ელიან. შარშან კიეველთა მთელი ხუთეულის თამაში სალნიკოვის დამაგვირგვინებელ სროლებზე იყო აგებული, არმიელთა კოლექტივში კი მან თვითონ უნდა იბრძოლოს ამისთვის.

42-ე ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი სენსაციაა „სტროიტელის" სუსტი თამაში. არ შეიძლება ყველაფერი სალნიკოვის წასვლას დავაბრალოთ. გუნდში ბევრი გამოცდილი და მაღალი კლასის კალათბურთელიც არის. როგორც ჩანს, წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მწვრთნელთა ხშირ ცვლაში უნდა ვეძებოთ.

„სტროიტელი" წლეულს ა. კლიმენკომაც დატოვა. ეს იყო მკაცრი და მომთხოვნი მწვრთნელი, რომელმაც გასულ სეზონში გუნდი III ადგილზე გაიყვანა. შესაძლოა კალათბურთელები, რომლებიც აშკარად ილაშქრებდნენ მწვრთნელის მეთოდების წინააღმდეგ, ახლა მშვიდად არიან, მაგრამ არა გვგონია, რომ ამან სარგებლობა მოუტანოს მათს სატურნირო მდგომარეობას.

წლევანდელი ჩემპიონატი წინ უსწრებს ოლიმპიურ ტურნირს, ეს კი მის წინაშე პასუხსაგებ ამოცანებს სახავს. 1976 წლისთვის ამბობენ საგრძნობლად შეიცვლება ჩემპიონატის ფორმულაო. ყოველ შემთხვევაში, უკვე ახლა არსებობს პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა შემცირდეს უმაღლესი და პირველი ლიგის შემადგენლობა. ფიქრობენ, ორივე ლიგაში ადგილები დაუთმონ ყველა მოკავშირე რესპუბლიკას. ეს უდავოდ კარგია კალათბურთის პოპულარიზაციის თვალსაზრისით, მაგრამ არამც და არამც არ უნდა შეიზღუდოს რესპუბლიკათა წარმომადგენლობა უმაღლეს ლიგაში. ახალი პროექტით ლიტვას მაგალითად, უფლება არ ექნება ჰყავდეს ორი გუნდი ორთავე ლიგაში. არა და მას წლეულს უმაღლეს ლიგაში ჰყავს ორი კოლექტივი — „ჟალგირისი" და „სტატიბა".

მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ მხოლოდ პროექტია, რომელიც სპეციალისტებთან კონსულტაციების შემდეგ დამტკიცდება. დღეს დღეობით კი ყურადღების ცენტრშია საკავშირო ჩემპიონატი და ჩვენი მოწინავე გუნდების მონაწილეობა ევროპულ ტურნირებში.

„ლელოს" მიმომხილველი.

## შეხვედრა საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

გუშინწინ, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში შეხვედრა მოუწყვეს თბილისის „დინამოს" კალათბურთელებს. სპორტსმენებს გულთბილად მიესალმა და მომავალ მძიმე ბრძოლებში წარმატება უსურვა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. შარტავამ.

გუნდის სახელით მასპინძლებს მადლობა გადაუხადა „დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა ლ. მოსეშვილმა. მან დამსწრეთ მოუთხრო იმ საპასუხისმგებლო შეხვედრებზე, რომლებიც დინამოელებს დეკემბრის ბოლო რიცხვებში და საერთოდ, სსრ კავშირის ჩემპიონატში მოელით.

საინტერესო იყო ცალკეულ კალათბურთელთა გამოსვლებიც. ისინი უმთავრესად, ლაპარაკობდნენ იმ მეგობრულ და საქმიან ატმოსფეროზე, რაც გუნდში სუფევს და იმ საბრძოლო სულისკვეთებაზე, რითაც „დინამო" ტარტუსა და ლენინგრადში მიემგზავრება.

დასასრულ, გუნდის წევრებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

## ყოჩაღ, არმიელებო!

ლვოვში დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. მასში მონაწილეობდა სამხედრო ოლქების 10 უძლიერესი გუნდი.

წარმატებით გამოვიდნენ წითელდროშოვანი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მოჭიდავეები. მათ ანგარიშით 31:11 დაამარცხეს ვოლგისპირეთის ოლქის წარმომადგენლები, ერთნაირი ანგარიშით — 23:19: მოუგეს მოსკოვისა და ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებს, ყველაზე დიდი ანგარიშით დაამარცხეს ბელორუსიის სამხედრო ოლქის მოჭიდავეები — 30.8 და 214 ქულით სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტული კომიტეტის თასი მოიპოვეს.

გამარჯვებულ გუნდში გამოდიოდნენ სპორტის ოსტატები შ. მაისურაძე, ი. ცანავა, სპორტის ოსტატობის კანდიდატები მ. ლეჟავა, ა. კაროვი, გ. თავაძე, ა. სანიკიძე, ვ. ხეცურიანი, პირველთანრიგოსნები — თ. ხატიაშვილი, ა. კვირიკაშვილი, ნ. გვასალია და ვ. წერეთელი. განსაკუთრებული ქების ღირსია მაისურაძე, რომელმაც 5 წმინდა გამარჯვება იზეიმა და ამას 4 წუთი და 48 წამი მოანდომა. 5 გამარჯვება მოიპოვა კაროვმაც. 4-4 გამარჯვება ჰქონდათ ხატიაშვილს, თავაძესა და ლეჟავას.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მოჭიდავეთა გამარჯვება რომ დამსახურებულია, ამაზე თუნდაც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ II ადგილზე გასულ ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის მოჭიდავეებს მათ 60 ქულით მოუგეს. III ადგილზე გავიდნენ მოსკოვის ოლქის მოჭიდავეები — 132 ქულა.

ნ. კოტრიკაძე.

# თანაბრად გაყოფილი ქულები

დუბლიორთა ტურნირის ბოლო კვირის მატჩები მძაფრი ბრძოლებით აღინიშნა. საინტერესოა, რომ ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიგო ორივე შეხვედრა.

ამ მხრივ საგულისხმო იყო გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის, მოსკოვის „დინამოს" გამოსვლა მინსკში. მოსკოველებმა საკმაოდ ადვილად დაამარცხეს მეტოქე პირველ მატჩში (109:87) და საფიქრებელი იყო, რომ წარმატებას მიაღწევდნენ მეორეშიც. მაგრამ მოხდა პირიქით, რტი-მ შეძლო ინიციატივის ხელში ჩაგდება და ბრძოლა დამაჯერებელი გამარჯვებით დაასრულა — 77:67.

გასული კვირა ყველაზე მძიმე მინსკელი კალათბურთელებისთვის გამოდგა, ვინაიდან მათ კიდევ ორი შეხვედრის ჩატარება მოუხდათ. რტი-მ ლენინგრადის „სპარტაკსაც" წაართვა ქულა მეორე შეხვედრაში (82:80). პირველი კი ნევისპირელებმა მოიგეს — 89:85.

დაბოლოს „კალევისა" და „სტროიტელის" ორთაბრძოლებზე, რომლებიც ტარტუში მოეწყო. ესტონელებმა, როგორც მასპინძლებმა, აქტიურად ჩაატარეს პირველი შეხვედრა და გაიმარჯვეს 76:63. მეორე მატჩში „სტროიტელის" დუბლი უფრო თამამად თამაშობდა, ამიტომაც ბრძოლა მის სასარგებლოდ დამთავრდა 90:84.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 12 | 12 | 0 | 1120—813 | 12 |
| „ჟალგირისი" | 12 | 10 | 2 | 1102—930 | 10 |
| „დინ." (მ.) | 12 | 9 | 3 | 1152—932 | 9 |
| „სპარტაკი" | 14 | 8 | 6 | 1159—1115 | 8 |
| „კალევი" | 12 | 6 | 6 | 1016—959 | 6 |
| „დინ." (თბ.) | 12 | 6 | 6 | 964—1039 | 6 |
| „სტროიტელი" | 10 | 5 | 5 | 853—866 | 5 |
| რტი | 14 | 5 | 9 | 1125—1219 | 5 |
| „ურალმაში" | 14 | 1 | 13 | 1014—1430 | 1 |
| „სტატიბა" | 12 | 0 | 12 | 913—1115 | 0 |

სვერდლოვსკში გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი მატჩი ბურთიან ჰოკეიში. შეჯიბრების ლიდერებმა, ადგილობრივმა არმიელებმა დაამარცხეს მონჩეგორსკის „სევერონიკელი" — 6:2.

• • •

სურათზე: უტევენ არმიელები.

ა. გრახოვის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).



## ჩვენი [illegible]



ტაშკენტი. აქ, რესპუბლიკის საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ეძღვნება უზბეკეთის რესპუბლიკის შექმნის 50 წლისთავს. შეჯიბრებაში გამოდიან ბულგარეთის, გდრ-ს, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები.

• • •

სურათზე: ოსტატობის კანდიდატების ბ. სამაგანოვას (სსრ კავშირი) და რ. გოცევას (მარჯვნივ, ბულგარეთი) შეხვედრის მომენტი.

რ. შამსუტდინოვის ფოტო. (საკდესი).

[illegible]

# ჭიდაობას რა უნდა...

## მაღალ დონეზე

თბილისის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ძიუდოისტთა შეჯიბრება ფალავანთა კლუბში მოეწყო. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“, „განთიადის“, „შრომითი რეზერვებისა“ და „ლოკომოტივის“ გუნდები.

უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით ეს შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა. ეს ერთი მხრივ განაპირობა რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა მონაწილეობამ, მეორეს მხრივ კი — არბიტრთა ობიექტურმა მსაჯობამ. გუნდური გამარჯვება ბურევესტნიკელებმა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდა „სპარტაკის“ ნაკრები, III — „დინამო“.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ნამგალაური, კეთილაძე, ცოფურაშვილი, ძეგლიგაშვილი, ნიჟარაძე.

მ. მაზიაშვილი.

## ხუთი წმინდა გამარჯვება

თბილისის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირსაც ფალავანთა კლუბმა უმასპინძლა. პირველობისთვის იბრძოდნენ გამოცდილი ათლეტებიც — ტ. ალიბეგაშვილი, ი. ლეგაშვილი, ა. ავსაჯანიშვილი და სხვ. ამან ასპარეზობას ლაზათი შემატა. აღსანიშნავია ლეგაშვილის კარგი ჭიდაობა: მან ექვსი შეხვედრიდან ხუთი წმინდად მოიგო, ერთი — ქულებით და I ადგილი დაისაკუთრა 62 კგ. წონით კატეგორიაში.

სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე, გ. შევიაკოვი, ზ. გულიშვილი (ორივე — „შრომითი რეზერვები“), ტ. ალიბეგაშვილი („დინამო“), პ. ჩხარტიშვილი („განთიადი“), ზ. ჯაფარიძე, შ. ახმედოვი (ორივე — „სპარტაკი“), ა. ავსაჯანიშვილი („დინამო“), ლ. ზანგალაძე, ე. გოცირიძე (ორივე — „განთიადი“).

გ. სუჯაშვილი.

## ამას მნიშვნელობა აქვს

განთიადის საჭიდაო დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა თბილისის სპორტული სკოლების პირადგუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს „სპარტაკის“, „განთიადის“, „ლოკომოტივისა“ და „ბურევესტნიკის“ წარმომადგენლებმა. მონაწილენი დაყოფილი იყვნენ ორ ასაკობრივ ჯგუფად. ორივეში უპირატესობა სპარტაკელებს ხვდათ. მათ საბოლოო ჯამში 15 პირველი ადგილი დაისაკუთრეს და საგრძნობლად გაუსწრეს სხვა დანარჩენ გუნდებს. უმცროს ასაკში II ადგილზე „განთიადი“ გავიდა, III — „ლოკომოტივი“, უფროს ასაკში კი შესაბამისად — „ბურევესტნიკი“ და „განთიადი“.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს უკვე „გამოცდილმა“ მოჭიდავეებმა მაკასარაშვილმა, გიგაურმა, კვანტალიანმა, შამანაურმა. მოწონება დაიმსახურეს ახალბედებმაც. მათ შორის, პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ სხირტლაძე, რომელაშვილი, ბერიაშვილი და გილაური.

მისასალმებელია ეს წამოწყება, რომელიც „განთიადის“ სპორტსკოლის თაოსნობით ჩატარდა. შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული. სამწუხაროდ, ტურნირის დასკვნით ნაწილს აკლდა საზეიმო ელფერი. არ შედგა გამარჯვებულთა დაჯილდოება. ნორჩებისთვის კი ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ო. შოშიტაშვილი,
სპორტის ოსტატი.

## უნივერსიტეტის გუნდი კარგად მოემზადა

„ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური პირადგუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ამას წინათ გორში გაიმართა. ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, სამედიცინო და ფიზკულტურის ინსტიტუტების, აგრეთვე, ბათუმის, გორის, თელავისა და ცხინვალის პედინსტიტუტების სპორტსმენები, სამწუხაროდ, ასპარეზობაში მონაწილეობას თავი აარიდეს ქუთაისის პოლიტექნიკური და პედაგოგიური ინსტიტუტების მოჭიდავეებმა. ამის მიუხედავად, შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა.

მონაწილენი კარგად იყვნენ მომზადებულნი, ამიტომაც ყოველი შეხვედრა დაძაბულ, საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა. საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, საშუალო წონის მოჭიდავემ თ. მარსაგიშვილმა. იგი ამ შეჯიბრების ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ აღიარეს. მარსაგიშვილმა ხუთი შეხვედრა ჩაატარა და ყველა წმინდად მოიგო, მას ვერც ერთმა მეტოქემ ვერ წაართვა ქულა.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა მძიმეწონოსნების — ა. ჭუაძის (პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 128 კილოგრამი) და მ. მეკოკიშვილის (უნივერსიტეტი, 100 კგ). ორთაბრძოლა. წონაში ასეთი დიდი სხვაობის მიუხედავად, მეკოკიშვილი ბოლომდე გაბედულად იბრძოდა. ჭუაძემ შეხვედრა მინიმალური უპირატესობით მოიგო.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა უნივერსიტეტის კარგად მომზადებულმა კოლექტივმა (მწვრთნელი ბ. ბიბილეიშვილი). II ადგილზე გავიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ხოლო III—გორის პედინსტიტუტის გუნდები. უკეთ შეეძლო ასპარეზობა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივს. IV ადგილი მას არ შეშვენის.

წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაიკავეს: გ. ფერნანდესმა (ბათუმი), თ. ბეჟანიშვილმა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), მ. მუზიაშვილმა, გ. ნარიაშვილმა (ორივე — გორი), მ. ქელეხსაშვილმა, თ. ქონიაშვილმა, თ. მარსაგიშვილმა (სამივე — უნივერსიტეტი), ვ. მიქელაძემ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), თ. მერმანიშვილმა (უნივერსიტეტი), ა. ჭუაძემ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

გ. ბრეგვაძე.

## უპირველესი საზრუნავი

ამჟამად სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების მთავარ საზრუნავს მომავალი რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის მზადება წარმოადგენს. ეს კარგად ესმის ქუთაისის „განთიადის“ საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობას. ამიტომ, განთიადელებმა სპარტაკიადისთვის სამზადისი წინა სპარტაკიადის დამთავრებისთანავე დაიწყეს. ფიზკულტურულ კოლექტივებში სისტემატურად ტარდებოდა შიდასაკოლექტივო ტურნირები და აქ გამოვლინებული პერსპექტიული სპორტსმენებისგან კომპლექტდებოდა საზოგადოების ნაკრები გუნდები.

განთიადელთა გენერალური შემოწმება ახლახან ჩატარებულ მე-17 საქალაქო სპარტაკიადაზე მოხდა. უმეტეს სახეობებში მათ საპრიზო ადგილები დაიკავეს და მნიშვნელოვნად გაუსწრეს უახლოეს კონკურენტებს. განთიადელებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი თავისუფალ ჭიდაობაში, წყალბურთში, ცურვაში, ქართულ ჭიდაობასა და სამბოში, კალათბურთში, სასტენდო სროლაში, ლელოში.

სპარტაკიადაზე განთიადელთა ასეთ წარმატებას ხელი განსაკუთრებით შეუწყო აბრეშუმის კომბინატის, ლითოფონის, ელექტრომექანიკური ქარხნების, № 1 სამკერვალო გაერთიანების ფიზკულტურის კოლექტივების ნაყოფიერმა მუშაობამ.

„განთიადის“ საქალაქო საბჭოს კარგი მუშაობის შედეგია ისიც, რომ ქალაქის ნაკრებ გუნდებში ამ საზოგადოების 110 სპორტსმენია შეყვანილი, ხოლო ბაიდარებით ნიჩბოსნობის ქალთა გუნდი ძირითადად ამ საზოგადოების წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული.

„განთიადის“ საქალაქო საბჭოს ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულებული აქვს წლევანდელი გეგმები, მაგრამ წარმატებები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ხელის შემშლელი მიზეზები რომ არ იყოს. საზოგადოება განსაკუთრებით, კვალიფიციური მწვრთნელების სიმცირეს განიცდის. ეს უფრო მწვავედ მძლეოსნობაში იგრძნობა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ „განთიადმა“ საქალაქო სპარტაკიადაზე ამ სახეობაში V ადგილი დაიკავა.

სპორტსმენთა მომზადების დაბალ დონეს განაპირობებს, აგრეთვე, სპორტული ბაზების სიმცირე. საავტომობილო ქარხანაში, სადაც მრავალათასიანი ფიზკულტურელთა არმიაა, რამდენიმე წელია ლაპარაკია დახურული ტიპის სპორტდარბაზის მშენებლობაზე, აქვთ პროექტიც, მაგრამ საქმე რატომღაც ადგილიდან არ იძვრის.

ელექტრომექანიკურ ქარხანაში ყოფილი კლუბის სპორტდარბაზად გადაკეთებისთვის სამუშაოები შარშან დაიწყო, მაგრამ წელს მოულოდნელად შეჩერდა.

ნელი ტემპით მიმდინარეობს 18×40-მეტრიანი დარბაზის მშენებლობა ლითოფონის ქარხნის სპორტსმენებისთვის.

შედეგი, რასაც მივაღწიეთ, ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს, — თქვა საზოგადოების თავმჯდომარემ შ. რევიშვილმა, — მეტ დახმარებას მოვითხოვთ, რომ რამდენადმე მაინც გამოსწორდეს სპორტული ბაზების მშენებლობის თუ რეკონსტრუქციის საკითხი. მოგვარდეს ისიც, რომ სპორტსმენთა დაოსტატების საქმე მივანდოთ უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე მწვრთნელებს.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.



## ახალგაზრდების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს

წერილი წაიკითხა

„ლელოს“ 8 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო გეგეჭკორის რაიონის სოფ. კურზუდან დ. გარიანის წერილი „პასუხს სოფლის თავკაცებისგან მოვითხოვთ“. ავტორი თხოვდა რედაქციას დახმარებოდა იმის გაგებაში, თუ რატომ არის ჩამორჩენილი სოფლის ფიზკულტურული საქმიანობა.

სოფლის თავკაცებმა რედაქციას არ უპასუხეს. მაგრამ სულ ახლახან სოფლის ახალგაზრდებმა გამოგვიგზავნეს სურათი. მასზე აღბეჭდილია კურზუს ფეხბურთის მოედანი, რომელიც „საზამთრო საძოვრადაა“ გადაქცეული. ცხადია, სოფელში ფიზკულტურული მუშაობა კვლავ ჩაშლილია.

იქნებ ახლა მაინც გვიპასუხონ სოფელ კურზუს მესვეურებმა, როგორ აპირებენ სოფლის ახალგაზრდების კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ფიზკულტურული საქმიანობის მოგვარებას.

## ზამთარი დადგა...

ზამთარს სუსხიან სილამაზესთან ერთად ბევრი პრობლემა მოაქვს. სპორტული ცხოვრების ჩარხმა ზამთარშიაც არ უნდა შეანელოს ბრუნვა.

როგორ ემზადებიან ზამთრისთვის თბილისის სკოლები, მათი ფიზკულტურის კოლექტივები და ფიზაღზრდის პედაგოგები? ამის გასაგებად რამდენიმე საშუალო სკოლას ვეწვიეთ.

პირველად იმ სკოლას მივაკითხეთ, რომელმაც მოსწავლეებს წლეულს პირველად გაუღო კარი. იმედები არ გაგვიცრუა 154-ე საშუალო სკოლამ (დირექტორი ნ. ჭკუასელი, ფიზაღზრდის მასწავლებლები ე. ბასილაია, ლ. ჩაჩავა), რომელიც სხვადასხვა სპორტული კომპლექტების სიმრავლით გამოირჩევა. სკოლას 2 დარბაზი აქვს. დიდი დარბაზი (260 კვ მ) თითქმის ყველა სახის სპორტული იარაღით არის აღჭურვილი. მეორე დარბაზი 130 კვ მეტრისაა. ისიც უზრუნველყოფილია სპორტული ინვენტარით. სკოლის ტერიტორიაზე დასასრულს უახლოვდება ფრენბურთის, ფეხბურთის და კალათბურთის მოედნების, აგრეთვე, მძლეოსნობის სახტომი ორმოების მოწყობა.

მალე მოსწავლეები საცურაო აუზსაც მიიღებენ. იგი რესპუბლიკაში პირველი საკუთარი აუზიანი სკოლა იქნება.

სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობაა 147-ე საშუალო სკოლაში. მას არასტანდარტული კლუბ-დარბაზი აქვს, სადაც ერთდროულად ორი-სამი კლასი მეცადინეობს, ეს, რა თქმა უნდა, დიდ სიძნელეებს უქმნის ფიზაღზრდის მასწავლებლებს ე. კუჭავას, ზ. დეკანოზიშვილს, ბ. გაგნიძეს და ა. უგრეხელიძეს. დარბაზი არც სპორტიარაღით და ინვენტარით არის უზრუნველყოფილი. ორძელი, ხარიხა მოსწავლეთათვის არაა განსაზღვრული, არ ყოფნით ბურთებიც. ალბათ დაგვეთანხმებით, ორიოდე გაცვეთილი ბურთი, სკოლას სპორტულ წარმატებას ვერ მოუტანს. მართალია, სკოლის მესვეურები დარბაზის აშენებას აპირებენ, მაგრამ ეს დიდი ხანია დაპირებად რჩება.

ამ სკოლას ჩოგბურთის 2 მოედანი აქვს. ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებლის გ. კუჭავას აზრით, ამ მოედნების ბაზაზე უმჯობესია მძლეოსნური სექტორის გაკეთება. ეს სამართლიანი აზრია, ვინაიდან ჩოგბურთი სკოლის სასწავლო პროგრამაში არ შედის, მძლეოსნური სექტორის უქონლობა კი კოლექტივის სპორტული ცხოვრების წინსვლას ამუხრუჭებს.

სკოლაში არის კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის სექციები, მაგრამ ზამთარში მხოლოდ კალათბურთის სექცია მუშაობს.

უკეთესი მდგომარეობა არც მე-17 საშუალო სკოლაშია. მართალია, აქ არის სპორტული დარბაზი, მაგრამ მცირე ზომისაა (10×5 მ) და იარაღებითაც არ არის უზრუნველყოფილი. განათლების სამინისტროში სკოლის დირექციის მრავალგზის მიმართვის მიუხედავად, ეს საკითხი მაინც მოუგვარებელია.

ჩოგბურთელთა რაიონულ პირველობაში სკოლამ II ადგილი დაიკავა, ტანვარჯიშში — III. აქ დაგეგმეს სპორტული კომპლექსის (კალათბურთის, ჩოგბურთის, ხელბურთის მოედნები) მშენებლობა, მაგრამ ეს ყველაფერი ქაღალდზე დარჩა. ცხადია, ზამთარში, როცა მეცადინეობა შენობაში მიმდინარეობს, შეუძლებელია სპორტული ცხოვრების მაღალ დონეზე წარმართვა.

51-ე საშუალო სკოლას შეუსრულეს დანაპირები: ახალი, კეთილმოწყობილი დარბაზის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. მოსწავლეებს ახალი სპორტული იარაღებით უზრუნველყოფილი 2 სპორტდარბაზი ექნებათ. მიიღებენ, აგრეთვე, სპორტულ მოედანს, რომელიც აქამდე სამშენებლო მასალით იყო დაკავებული.

ტანვარჯიშის, ფრენბურთის, შაშის, ჭადრაკის, კალათბურთის სექციების კარგი მუშაობის შედეგია სკოლამ 1974 წლის რაიონულ სპარტაკიადაში I ადგილი რომ მოიპოვა. სასწავლო წლის დაწყებისთანავე, სექტემბერ-ოქტომბერში მშდ ნორმატივების ჩაბარების მიზნით ბევრი შეჯიბრება ჩატარდა. მშდ ნორმატივების შესასრულებლად ლაშქრობაც მოეწყო. ნორჩი მოლაშქრეები იყვნენ წყნეთში, უძოს მთაზეც ავიდნენ. სკოლის ფიზკულტურის კოლექტივისა და ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებლის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელისა და დამსახურებული პედაგოგის გ. გაბიტაშვილის მთავარი მიზანია გაისად რაიონულ სპარტაკიადაში პირველობის დასაკუთრება.

მაია რუხაძე.

## მეგობრობა

ქუთაისის მინის ტარისა და ბორჯომის შუშის ქარხნების ახალგაზრდებმა, რომლებიც ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული, გადაწყვიტეს აღებულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. ამ მიზნით ქუთაისელები ესტუმრნენ ბორჯომელ კოლეგებს. შრომაში ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა შეაჯამეს. მერე სტუმრებმა დაათვალიერეს ბორჯომის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ქარხანა, ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები.

მეგობრებმა მეორე დღეს სპორტის ექვს სახეობაში ჩაატარეს ამხანაგური შეხვედრები. მასპინძლებმა გაიმარჯვეს კალათბურთში, ფრენბურთში და ტყვიის სროლაში. სტუმრებმა თავი ისახელეს ჭადრაკში, შაშში და მაგიდის ჩოგბურთში. ბორჯომელები ქუთაისელ კოლეგებს საპასუხო ვიზიტით მომავალ წელს ესტუმრებიან.

ო. ჰეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვულოცავთ!

## ინტერვიუ იუბილართან

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოსავლის აღების და მეცხოველეობის მანქანების კათედრის გამგეს, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი შხვაცაბაიას დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

ეს სახელოვანი მამულიშვილი საბჭოთა კავშირში მარტო იმით როდია ცნობილი, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდი ღვაწლი დასდო. მისი სახელი საბჭოთა სპორტის ისტორიაშიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი.

ქუთაისელმა ჭაბუკმა სკოლაში ტანვარჯიშით შეიყვარა სპორტი და ფართო სარბიელზე გავიდა, შესანიშნავ ფეხბურთელადაც ითვლებოდა, მაგრამ სპორტული დიდების მწვერვალს მაინც მძლეოსნობაში მიაღწია — სიმაღლეზე ხტომაში საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი გახდა და კარგახანს უძლიერესად ითვლებოდა.

„ლელოს" რედაქცია, საქართველოს ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების სახელით მიესალმება ამ დიდებულ მოქალაქეს, ულოცავს სახელოვან იუბილეს და დიდხანს სიცოცხლესა და შემოქმედებით შრომას უსურვებს.

გ. შხვაცაბაია, ეს მოუღლელი, ახალგაზრდული ენერგიით სავსე, ეროვნული ფიზკულტურული მოძრაობის ერთგული ქომაგი, მართალია, სპორტულ სარბიელს კარგა ხანია ჩამოშორდა, მაგრამ ფიზკულტურისა და სპორტის სფეროში სასარგებლო შრომა არ მიუტოვებია.

მშდ-ს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გ. შხვაცაბაია საქართველოში ამ დიდმნიშვნელოვანი საქმიანობის ნამდვილი სული და გულია. უმისოდ არც ერთი პრობლემური საკითხი არ გადაწყდება. მაშინაც კი, როცა სოფლის მეურნეობის საკითხების შესასწავლად რესპუბლიკის რომელიმე რაიონში მივლინებით ჩადის, აუცილებლად დროს იმისთვისაც გამონახავს, რომ შეისწავლოს როგორაა ამ რაიონის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში დაყენებული მშრომელთა გაჯანსაღების ეს შესანიშნავი საშუალება, როგორ მიმდინარეობს მშდ კომპლექსის ჩაბარებისთვის მოსამზადებელი საქმიანობა და მშდ მრავალჭიდში შეჯიბრებათა გამართვა, რა დონეზეა მისი პროპაგანდა, რა ულხინთ, რა უჭირთ, მზადაა ყველას განუმარტოს გაურკვეველი საკითხები, შეაქოს მოწინავენი, ჩამორჩენილებს მიუთითოს, ასწავლოს ნაკლის გამოსწორების გზები.

ჩვენმა კორესპონდენტმა პატივცემული გიორგი ინახულა და სთხოვა ინტერვიუ მშდ კომპლექსის დანერგვის, ამ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისა და სხვა საკითხებზე.

ვაქვეყნებთ ამ ინტერვიუს.



● **როგორ აფასებთ მშდ ახალი კომპლექსის შემოღებას?**

— „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დასაცავად" კომპლექსი მუდამ იყო და დარჩება საბჭოთა ადამიანების, განსაკუთრებით, ახალგაზრდების შრომისა და საჭიროების შემთხვევაში მოძალადეებისგან სამშობლოს დასაცავად მომზადების ძვირფას წყაროდ.

ახალი კომპლექსის შემოღება ნაკარნახევია თვით საბჭოთა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრებით. ახლა, ასე განვითარებული ტექნიკის დროში, როცა კაცს ნაკლები მოძრაობა უხდება, ფიზიკური დატვირთვა თითქმის მინიმუმამდე დავიდა, კომპლექსის ვარჯიშების შეწავლა მარტო მათთვის კი არაა საჭირო, ვინც ამ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ემზადება, მას ყველა საფუძვლიანად უნდა დაეუფლოს და გამოიყენოს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მე ვიტყოდი, კომპლექსი ნაწილობრივ მაინც შეავსებს ადამიანის ფიზიკური დატვირთვის იმ ზარალს, რაც კაცობრიობას ტექნიკის განვითარების უმაღლესმა დონემ მიაყენა. იგი სიჯანსაღის, შრომისნაყოფიერების ზრდის, სიხალისის უშრეტი წყაროა, რაც საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი და ამ სიტყვების სისწორეში დამეთანხმება ყველა, ვინც დილის გამამხნევებელ და საწარმოო ტანვარჯიშს რეგულარულად მისდევს.

● **რატომ არის, რომ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება სავალდებულოდ გახადეს, ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს ნიშნოსანთა მომზადების შესრულების გეგმებიც კი დაუსახეს?**

— ეს აუცილებლობა ადამიანის ბუნებიდან გამოდის. დასამალი როდია, ათასში ერთი თუ იქნება, რომელიც თავისი ნება-სურვილით სტადიონებზე, დარბაზებში, აუზებზე ივლის და კომპლექსის სახეობებში რეგულარულად ივარჯიშებს (კომპლექსი კი ისეა შედგენილი, რომ ადამიანის სხეულის ყველა ნაწილის განვითარებას შეუწყოს ხელი). ყველა ცდილობს შრომამდე ან შრომის შემდეგ თავისუფალი დრო კინოში, თეატრში, ტელევიზორთან, წიგნთან, მეგობართან თუ ნათესავთან გაატაროს, რასაც ხშირად ქეიფი და დროსტარება მოჰყვება ხოლმე, ადამიანის, განსაკუთრებით გონებრივად მომუშავის, ორგანიზმი კი კუნთების ყოველდღიურ აუცილებელ დატვირთვას მოითხოვს.

ფიზკულტურა და სპორტი ყოველგვარ წამალზე უკეთესი სამკურნალო საშუალებაა. ბოლო ათეულ წლებში განსაკუთრებით განვითარებული გულის სხვადასხვა სახის დაავადებანი სწორედ ადამიანთა უმოძრაობის, ფიზიკური დატვირთვის მინიმუმამდე დასვლის სავალალო შედეგია. ნორმალური ფიზიკური დატვირთვა გულს მისი ფუნქციების შესრულებაში და, მაშასადამე, სიცოცხლის გახანგრძლივებაში ეხმარება, ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება სავალდებულო გახადეს, ეს კი იმას გულისხმობს, რომ ბევრი მშდ ნორმატივების ჩაბარების შემდეგ თავს გაცილებით მხნედ იგრძნობს, ფიზკულტურასა და სპორტს გემოს გაუგებს და რეგულარულ მეცადინეობაშიც ჩაებმება.

● **როგორ უნდა წარიმართოს კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებელი მოსამზადებელი მუშაობა და თვით ჩაბარება?**

— ფაციფუცი და იერიშობანა ყველა კეთილი საქმის მტერია. ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ მოკლე დროში კომპლექსის ყველა ნორმატივის ჩაბარება შეუძლებელია, ეს ყველაზე უნივერსალურ სპორტსმენებსაც უჭირთ. ამიტომაც ვადად 2 წელია დადგენილი. ადამიანები ამ ხნის განმავლობაში საწარმოებთან, დაწესებულებებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სასწავლებლებთან შექმნილ მოსამზადებელ ჯგუფებში ნელნელა ეჩვევიან ამა თუ იმ სახეობის ტექნიკას, სრულყოფენ რბენის, ხტომის, ტყორცნის, ღერძზე მიზიდვის, ცურვისა და სხვა სახეობათა ტექნიკას და როცა თავს მზად გრძნობენ, ნორმატივების მიმღებ კომისიასაც მაშინ წარუდგებიან და თუ რომელიმე ნორმატივს ვერ ჩააბარებენ, სამზადისს აგრძელებენ. ამით მათში სათანადო ჩვევების გამომუშავებას ვუწყობთ ხელს.

რაც შეეხება ნორმატივების ჩაბარებას, საამისოდ გამართული შეჯიბრებები სპორტულ დღესასწაულებად უნდა გადავაქციოთ. ასპარეზობები ისე უნდა ეწყობოდეს, რომ ნორმატივების ჩაბარების შემდეგ ადამიანი შინ გამარჯვებულის გრძნობით აღვსილი ბრუნდებოდეს. ეს მშდ-ს პროპაგანდის საუკეთესო საშუალებაა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ნორმატივების მიღებაში სიყალბის, თვალისახვევის ფაქტები. ზოგი ფიქრობს, რა მოხდა თუ დისტანციის გარბენაში ნორმატივამდე 0,1 წამი დააკლდა, ან ხელყუმბარის ტყორცნაში 1 მეტრი არ ეყო. ცოდვაა, წაუმატოთ, ისიც მოისვენებს და ჩვენცო. ეს მშდ კომპლექსის პროპაგანდისთვის, ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის დათვური სამსახურია. ერთხელ წამის წამატებას, მეორედ წუთის წამატება მოჰყვება, მესამედ კი ყოველგვარი მუშაობის გარეშე მშდ კომპლექსის ჩაბარების გეგმების ქაღალდზე შესრულება, როგორც ეს საქართველოს ბევრ რაიონში ახალი კომპლექსის შემოღების პირველ წელს იყო.

● **ახლა თუ შეიმჩნევა ამგვარი მოვლენები?**

— სამწუხაროდ, კი. მაგალითად, მარნეულის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ კ. ხადირაძემ წარმოადგინა ცნობა, თითქოს, მშდ მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე გამართულ შეჯიბრებებში 2500-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა, ნორმატივები კი 171 ფიზკულტურელმა ჩააბარაო. სინამდვილეში გაირკვა, რომ ამ რაიონში მშდ კომპლექსის მრავალჭიდში შეჯიბრება „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე საერთოდ არ გამართულა.

● **რა ღონისძიებანი გატარდა ყალბისმქნელთა მიმართ?**

— რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის ძლიერი შემდეგ ყალბისმქნელობას განსაკუთრებით დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა. ასეა ფიზკულტურასა და სპორტშიც. მშდ კომპლექსის ჩამბარებელთა მომზადების საქმეში თვალისახვევაში, მიწერებში, სიყალბეში შემჩნეული ყველა მუშაკი სათანადოდ დაისაჯა. უკვე ცნობილი ფაქტებია, რომ რამდენიმე რაიონის (მათ შორის მარნეულისაც) ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეები სამსახურიდან მოიხსნენ. ახლა ყველა ჩვენგანის ვალია დაუნდობლად ვიბრძოლოთ ამგვარი ფაქტების გამოვლინებისთვის. დასამალი როდია, რომ რესპუბლიკაში ათეული წლების მანძილზე გამეფებული სიყალბე, მიწერები გახდა იმის მიზეზი, რომ საქართველომ საკავშირო სარბიელზე ფიზკულტურასა და სპორტში მოწინავე პოზიციები დაკარგა.

● **როგორია რესპუბლიკაში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საერთო მდგომარეობა?**

ფიზკულტურისა და სპორტის ზოგიერთი რაიონული და საქალაქო კომიტეტის, სპორტსაზოგადოებათა რაიონული და საქალაქო საბჭოების ხელმძღვანელების, ფიზკულტურის ინსტრუქტორების დაუდევრობის მიუხედავად საერთო მდგომარეობას ვერ დავემდურებით, მაგრამ თუ რესპუბლიკაში მშდ კომპლექსის განვითარების გეგმები სრულდება, ამას იმ ორგანიზაციებს უნდა ვუმადლოდეთ, სადაც ამ ღონისძიების მნიშვნელობა მთლიანად შეუგნიათ და საქმეს გულმოდგინედ ეკიდებიან.

შარშან რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დიდი მუშაობის ჩატარება დასჭირდათ, რომ გეგმა გადაჭარბებით შესრულებულიყო, მარტო I საფეხურის 43762 ნიშნოსანი მოამზადდა, II საფეხურის ყველა ნორმატივი 32220 კაცმა ჩააბარა, III საფეხურისა — 48949 კაცმა. IV საფეხურის სამკერდე ნიშნის ტარების უფლება მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის 54386 მცხოვრებმა. V საფეხურის ნორმატივი კი 11645 კაცმა ჩააბარა.

წლევანდელი გეგმა 145000 ნიშნოსანის მომზადებას ითვალისწინებს. ნახევარი წლის მანძილზე ყველა ნორმატივი 77236 კაცს ჰქონდა ჩაბარებული. ამ საქმეში განსაკუთრებით დაწინაურდნენ თბილისის, ქუთაისის, ფოთის, მახარაძის, დუშეთისა და სხვა კოლექტივები. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მაგალითად, ამბროლაურისა და გორის რაიონებზე.

ამბროლაურის რაიონში მარტო მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისა კი არა, საერთოდ ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობაც კარგა ხანია ჩაშლილია, ვინაიდან ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს ვაჩაძეს ამ თანამდებობაზე მუშაობა აღარ სურს, რაიონში მისი შემცვლელი კი აქამდე ვერ მონახეს. მშდ კომპლექსის დანერგვა-განვითარების საქმე ასევე ცუდადაა გორისა და ზოგიერთ სხვა რაიონებშიც, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები კი ამ მდგომარეობას გულგრილად შესცქერიან.

● **მაინც, რა არის მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებაში ზოგიერთი რაიონის ჩამორჩენის მიზეზი?**

— რა თქმა უნდა, ხელშემშლელი სპორტული ბაზების სიმცირეცაა, მაგრამ სადაც მონდომებაა, სადაც ფიზკულტურის ხელმძღვანელი ორგანიზაციები ამ საქმეს შეგნებით უდგებიან, ენერგიულად მუშაობენ, ამ დაბრკოლებას იოლად ძლევენ. მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის ყველა სახეობას როდი უნდა პირველხარისხოვანი სტადიონები და დარბაზები. ეს იმას არ ნიშნავს ბაზების მოწყობისთვის არ ვიზრუნოთ, მაგრამ სადღეისოდ ჩვენი მუშაობის ყველაზე მტკივნეული რგოლი მაინც ცურვაა. ეს მშდ კომპლექსის ნორმატივების ნიშნოსანთა მომზადების გეგმების შესრულებას ყველაზე მეტად აფერხებს. ბევრჯერ გამოითქვა აზრი, ცურვა სხვა რომელიმე სახეობით შეგვეცვალა. მაგრამ ეს არ უნდა დავუშვათ, ვინაიდან ცურვა ყველამ უნდა იცოდეს. ცურვის უცოდინარობით ხომ ყოველწლიურად ასობით ადამიანი იღუპება. ხაზგასმით აღვნიშნავ, მშდ კომპლექსი მასების გაჯანსაღების მთავარი წყაროა. თუ ჯანმრთელი ახალგაზრდობა არ გვეყოლა, ისინი ვერც სწავლაში ივარგებენ და ვერც შრომაში.

● **როგორია დირექციების დახმარება ფიზკულტურის კოლექტივისადმი მშდ კომპლექსის პროპაგანდასა და დანერგვაში?**

— ბევრგან ძალიან მოიკოჭლებს. დასამალი როდია, რომ სკოლებსა, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზკულტურის სწავლება ჯერ კიდევ მეორეხარისხოვან საგნად მიაჩნიათ. თუ მოსწავლე, სტუდენტი სხვა რომელიმე საგანში ჩამორჩა, ეს საერთო განგაშს იწვევს, ფიზკულტურაში ჩამორჩენა კი ბევრს არ აწუხებს. პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე იშვიათად თუ ისმენენ ფიზკულტურის სწავლების, მშდ კომპლექსის დანერგვის საკითხებს. მშდ კომპლექსის ფართო ბაზე გამართულ თათბირზე უმაღლესი სასწავლებლების რექტორები არც კი მოვიდნენ. დასანანია, რომ ჩვენი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზკულტურას ჯერ კიდევ ირიბად უყურებს. ნუ დავივიწყებთ, რომ მშდ სპორტის დედაცაა. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო, პოლიტექნიკურ ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტში მშდ კომპლექსის დანერგვის საქმე მეტადებით უკეთესად არის, რასაც სხვა სასწავლებლებზე ვერ ვიტყვით.

ამ საქმის პროპაგანდაში რესპუბლიკის პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ უფრო მეტი დახმარება უნდა გაგვიწიოს.

● **თქვენს ოჯახში როგორი ავტორიტეტით სარგებლობს გამაჯანსაღებელი ღონისძიებები?**

— თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ თუ ვიტყვი, რომ იგი ჩვენი ერთგული მეგობარია. ჩემი 68 წლის ასაკის მიუხედავად (მართალია, დაბადების მოწმობით 70 წელი შემისრულდა, მაგრამ ორი წლის წამატება ძველი უკუღმართი ცხოვრების ბრალია — სასწავლებლად არ მღებულობდნენ, რის გამო ასაკის მომატება მომიხდა) მე მისი დიდი თაყვანისმცემელი და მიმდევარი ვარ.

ჩემი ვაჟები — მოქანდაკე გიორგი და ინჟინერ-მექანიკოსი ზურაბი ყოველდღიურად ვარჯიშობენ და ამის წყალობით თავს ყველა მხნედ ვგრძნობთ.

ერთი სიტყვით, ვისაც მშდ კომპლექსის, ამ მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიების მნიშვნელობა ვერ შეუგნია და მისი დანერგვისთვის არ ზრუნავს, როგორც ამას პარტია და მთავრობა გვავალებს, ვინც ამ საქმეში სიყალბეს მიმართავს, საკუთარი თავისა და საზოგადოების მტერია.

## გაიმარჯვეს განთიადელებმა

12-16 დეკემბერს ერევანში „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ ტურნირში, რომელშიც ასპარეზობდნენ ამიერკავკასიისა და მოლდავეთის კოლექტივები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრება გაიმართა სომხეთის პროფსაბჭოს პრიზზე.

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა სომხეთის პირველი გუნდის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად შეძლეს დამსახურებული გამარჯვების მოპოვება. გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მწვრთნელებს ე. თვალჭრელიძესა და ნ. ზვიადაძეს. ზოგიერთი ჭაბუკი პირველად იყო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და ეს ტურნირი მათთვის კარგი გამოცდა გამოდგა. მათ აჩვენეს კარგი ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება და მორალურ-ნებელობითი მზადყოფნა, გამოამჟღავნეს გამარჯვებისადმი სწრაფვა.

აი, იმ მოჭიდავეთა გვარები, რომლებმაც ჩემპიონობა მოიხვეჭეს: **კლასიკურ ჭიდაობაში** — ნ. კოზაევი (45 კგ), ტ. კალატოზიშვილი (65 კგ), ი. იდუკაშვილი (70 კგ), ზ. ყუბუსიძე (75 კგ), ნ. სამადაშვილი (მძიმე); **თავისუფალ ჭიდაობაში** — თ. ჩიკვილაძე (56), გ. გურმაზაშვილი (60 კგ), ზ. ზუბიაშვილი (75 კგ), ი. კვანტალიანი.

გ. გელაზაროვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# აფხაზეთის კალათბურთელთა წარმატება

ქუთაისში დამთავრდა 1957-58 წლებში დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა რესპუბლიკური ჩემპიონატი კალათბურთში. ასეთ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში გამოსვლების მთელი ისტორიის მანძილზე აფხაზეთის ნაკრებ გუნდებს ჩემპიონობა არ მოუპოვებიათ. ახლა კი მათ შეძლეს დიდი წარმატების მიღწევა.

პირველ დღეს აფხაზეთის გოგონებმა უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს თბილისის გამოცდილ გუნდს — 54:47, შემდეგ დაამარცხეს ქუთაისელები — 56:30 და შეჯიბრების დასკვნით დღეს თითქმის უბრძოლველად დაამარცხეს აჭარის კოლექტივი — 70:38. მათ დამსახურებულად მოიხვეჭეს პირველი ადგილი. აფხაზეთის ნაკრების ღირსებას იცავდნენ ლ. კაჭარავა, ლ. ჯავახიძე, ლ. ფაჩულია, ა. ზახარჯიანი, ი. ლურსმანაშვილი, ჟ. კრივკო, მ. ლურსმანაშვილი, ლ. კოტოვა, ი. პოგოჟინა და ტ. დემჩენკო. გუნდს შეჯიბრებისთვის ამზადებდა ვ. ხაშბა.

II ადგილზე გავიდნენ თბილისელი კალათბურთელები, ხოლო III — მასპინძლები — ქუთაისელები.

ჭაბუკ კალათბურთელთა შეჯიბრებაში პირველობისთვის დაძაბული ბრძოლა გაიმართა თბილისის, ქუთაისისა და აფხაზეთის გუნდებს შორის. პირველ მატჩში აფხაზეთის კოლექტივმა დაამარცხა ქუთაისელები — 57:39. შემდეგი მათი მეტოქე იყო თბილისელთა კოლექტივი. მატჩი ძალზე დრამატულად წარიმართა. გამარჯვებული ვერც ძირითადმა დრომ გამოავლინა — 58:58, ვერც დამატებითმა 5 წუთმა — 66:66. დაინიშნა მეორე დამატებითი ხუთწუთიანი ტაიმი. კვლავ ყაიმი — 77:77. და მხოლოდ მესამე ხუთწუთიანმა ტაიმმა გადახარა გამარჯვების სასწორი თბილისელთა მხარეს. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით — 91:89, მაგრამ მეორე დღეს დამარცხების სიმწარე იწვნიეს თბილისელებმაც, რომლებმაც წააგეს ქუთაისელებთან — 52:54. ბურთების უკეთესი სხვაობით ამ 3 გუნდს შორის უპირატესობა მიენიჭა აფხაზეთის კოლექტივს, რომლის ღირსებას იცავდნენ ბ. აჩბა, მ. ხუბუა, გ. ჭოლოკავა, მ. თოდუა, ტ. გუგუშვილი, პ. ხურციძე, ლ. ლომიძე, ზ. ელერდაშვილი, პ. კიკნაძე და დ. ქიგალო. გუნდს წვრთნის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. სედოვი. II ადგილზე დარჩნენ თბილისელები, III — ქუთაისელები.

გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გადაეცათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დიპლომები.

გ. პოლოსიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: აფხაზეთის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდები.

ავტორის ფოტოები.

ველოსპორტის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმზე

# მასობრიობა წარმატების საფუძველია

როგორ გამოვლენ საქართველოს ველოსიპედისტები სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაზე? როგორ ემზადებიან ისინი ახალი სპორტული სეზონისთვის? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია. სპარტაკიადა ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება, მაგრამ მსგავსი შეკითხვები, ოდნავ სახეშეცვლილი (ვთქვათ, როგორ მოემზადებიან ველოსიპედისტები არა სპარტაკიადისთვის, არამედ საკავშირო ჩემპიონატისთვის) ყოველი წლის ბოლოს გვებადება. სამწუხაროდ, ვერც ერთხელ პოზიტიური, დამაკმაყოფილებელი პასუხები ამ შეკითხვებზე ვერ მივიღეთ იმ უბრალო მიზეზით, რომ ველოსპორტის ორთავე სახეობაში საქართველოს სპორტსმენთა ოსტატობის დონე ერთობ დაბალია.

1974 წლის განმავლობაში ერთგვარი წინსვლა შეიმჩნეოდა როგორც საგზატკეცილო ველოსპორტში, ისე ტრეკზე, რამდენიმე საკავშირო შეჯიბრების შედეგმა იმედი ჩაგვისახა, ზოგიერთი ახალგაზრდა ველოსიპედისტის გამოჩენამ გულწრფელად გაგვახარა, მაგრამ ეს ყველაფერი წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც უნდა გაკეთდეს. სპარტაკიადებში საქართველოს ველოსიპედისტები (განსაკუთრებით საგზატკეცილო სახეობაში) მუდამ კუდში მიჩანჩალებდნენ. ასე თუ ისე, კარგი მაჩვენებლები გვქონდა ტრეკზე, მაგრამ ისიც ერთი კაცის — ომარ ფხაკაძის წყალობით.

მასობრივი ველოსპორტი კი, ანუ ის, რაც ნამდვილი წარმატების საფუძველს ქმნის, ჩვენს რესპუბლიკაში სავალალო მდგომარეობაშია. ეს არის ყველა ჭირის თავი და თავი.

ამბობენ, რომ საქართველოს რაიონებში არაფერი კეთდება ველოსპორტის განვითარებისთვისო. ძალიან ცუდია. მით უმეტეს, რომ ერთ დროს რაიონების სპორტული ორგანიზაციები კარგ შევსებას აძლევდნენ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს. მაგრამ რა უნდა მოვთხოვოთ რაიონებს, როცა საველოსიპედო ტრადიციები ჩაკვდა აჭარაში, აფხაზეთში, სამხრეთ-ოსეთში. ზუგდიდი ან ზესტაფონი რომ არ გვაძლევს შევსებას, შეუწყნარებელ ფაქტად მიგვაჩნია. მაშინ რაღა ვთქვათ აჭარისა და აფხაზეთის სპორტულ ორგანიზაციებზე?

ამას წინათ თბილისში ჩატარდა ველოსპორტის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი, რომელმაც ბევრ მტკივნეულ საკითხზე გაამახვილა ყურადღება. პლენუმის მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს სპორტსაზოგადოებები („ლოკომოტივი", „კოლმეურნე", ნაწილობრივ — „შრომითი რეზერვები" და სხვ), რომლებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ველოსპორტის განვითარებას, მაგრამ რა შედეგს გამოიღებს ეს კრიტიკა, კაცმა არ იცის, ვინაიდან ბევრი სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელი არც კი დასწრებია პლენუმს.

საინტერესო მოსაზრებები გამოითქვა სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გაუმჯობესების თაობაზე, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ბევრი შენიშვნა გაკეთდა თვით სპორტსმენთა მისამართით, რომლებიც თავს არ იწუხებენ საკუთარი ოსტატობის ამაღლებისთვის და სხვ.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვანი უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ კამოს ქუჩაზე მდებარე ველოტრეკის ერთ-ერთი დარბაზი საორტკომიტეტის საამშენებლო კანტორის ადგილსამყოფელად გადაიქცა. სხვათა შორის, წლების მანძილზე ეს დარბაზი ერთადერთი შენობა იყო თბილისში, სადაც ველოსიპედისტებს ზამთრის პერიოდში ვარჯიშის საშუალება ჰქონდათ. ერთადერთი შენობაა იგი დღესაც, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების დღეებში. კარგია, რომ თბილისში ჯერჯერობით მზიანი ამინდებია და სპორტსმენებს ღია ცის ქვეშ მეცადინეობის საშუალება აქვთ. ასე ხომ არ იქნება მუდამ. ან რა გარანტიაა, რომ ხვალვე არ შეიცვლება ამინდი?

ამ დარბაზში წლების მანძილზე ინტენსიურად ვარჯიშობდნენ განათლების განყოფილების წარმომადგენლები, ნორჩი ველოსიპედისტები, რომლებმაც წესითა და კანონით ვეტერანები უნდა შეცვალონ. დღეს აქ არავის არ აქვს ვარჯიშის საშუალება. მწვრთნელმა ბ. გუკასიანმა სავსებით სამართლიანად დასვა საკითხი საამშენებლო კანტორის დარბაზიდან გასახლების თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით ბავშვთა ჯგუფები საერთოდ უნდა დაიხუროს, ვინაიდან ზამთრის პერიოდში სხვა სამეცადინო ადგილი არ არსებობს.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხებიც. საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის შემადგენლობაში შევიდნენ: თავმჯდომარე — რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. სოღორაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე — ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის კომისარი მ. ბარამია, მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე — გ. ჯოხაძე და მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე — გ. თელია.

# ჩემპიონები დააჯილდოვეს

რუსთავის „მეტალურგის" ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს წლევანდელი სეზონი, მოიპოვეს საქართველოს თასი, შემდეგ — ფიზიკური კულტურის კოლექტივების საკავშირო თასი, გახდნენ რესპუბლიკის ჩემპიონები და უფლება მოიპოვეს გაისად ითამაშონ „ა" კლასის II ლიგის საკავშირო გათამაშებაში.

კოლექტივის ამ წარმატებებს მიეძღვნა რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში გამართული საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა რუსთავის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ა. კობაიძემ. გუნდის წარმატებებზე ილაპარაკა ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ო. ჯებაშვილმა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ „მეტალურგის" პირველი კაპიტანი ვ. მუქათარიძე, მეტალურგიული ქარხნის მილსავლინავი საამქროს უფროსი მვალცავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. გვრიტიშვილი, ქიმიური კომბინატის მეაპარატე მ. ნანუაშვილი, № 1 სამშენებლო ტრესტის 1-ლი სამშენებლო სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლ. კალანდაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე, მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვ. ჭეიშვილი, „მეტალურგის" კაპიტანი ი. ალადაშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ საზეიმო ვითარებაში გადასცა რუსთავის „მეტალურგს" ჩემპიონის წითელი დროშა, გუნდის მწვრთნელები და მოთამაშეები დაჯილდოვდნენ პირველი ხარისხის დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით.

რ. ბაბრიძე.
(ჩვენი კორ.).

# გამარჯვების შემდეგ... ფრე

მოსკოვი, 19 დეკემბერი. ლუჟნიკის სპორტის სასახლეში შედგა ჰოკეისტთა საერთაშორისო ასპარეზობა გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე. ამჯერად ყინულის სარბიელზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გათამაშების ლიდერი, სსრ კავშირის ნაკრები და ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გუნდი. ანგარიში გახსნეს საბჭოთა ჰოკეისტებმა, მაგრამ ჩეხოსლოვაკიელებმა წონასწორობა აღადგინეს — 1:1. შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე, როცა ანგარიში იყო 3:3, პეტროვმა, იაკუშევმა და ისევ პეტროვმა გამარჯვება მოუტანეს სსრ კავშირის ნაკრებს — 6:3.

მეორე შეხვედრაში მეტოქეთა ძალები თანაბარი გამოდგა და მატჩიც ფრედ — 3:3 დამთავრდა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: „იზვესტიის" პრიზის გათამაშებაში მონაწილე გუნდების, სსრ კავშირისა და შვეციის ნაკრებთა ამასწინანდელი შეხვედრის მომენტი. როგორც ცნობილია, მატჩი მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 7:2.

სახლესის ფოტო.



# კვლავ მ. ტალი და ბელიავსკი

ლენინგრადში 42-ე საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის XIII ტურში რ. ვაჰანიანმა (ერევანი) დაამარცხა ი. ბალაშოვი (მოსკოვი), მ. ტაიმანოვმა (ლენინგრადი) — მოსკოვის ჩემპიონი ბ. გულკო და ვ. ცეშკოვსკიმ (მინსკი) — კ. გრიგორიანი (მოსკოვი).

ლ. ალბურტის (ოდესა) — მ. დვორეცკისა (მოსკოვი) და ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი) — გ. კუზმინის (ვოროშილოვგრადი) პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო, მათ შორის ლიდერების — მ. ტალის (რიგა) — ვ. კუპრეიჩიკთან (მინსკი) და ა. ბელიავსკის (ლვოვი) — ე. ვასიუკოვთან (მოსკოვი).

13 ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობენ მ. ტალი და ა. ბელიავსკი — 8-8 ქულა და თითო გადადებული პარტია. რ. ვაჰანიანს 8 ქულა აქვს.

# ღრმა მანევრით

„ლელო" ხშირად ღებულობს საჭადრაკო კომპოზიციის მოყვარულთა ნაწარმოებებს. ბევრი მათგანი, სამწუხაროდ, ვერ აკმაყოფილებს კომპოზიციის მოთხოვნებს. მაგრამ მათ შორის შეხვდებით საინტერესო ამოცანასა და ეტიუდს.

გთავაზობთ უკვე გამოცდილი პრობლემისტის გ. მოსიაშვილის (თბილისი) ახალ ამოცანასა და ახალბედა ეტიუდისტის ნ. ფანჯაკიძის (ბორჯომის რაიონი, სოფ. წაღვერი) ნამუშევარს.

ამოცანა
გ. მოსიაშვილი



შამათი ორ სვლაში

ეტიუდი
ნ. ფანჯაკიძე



თეთრები ყაიმს აღწევენ

# სწორად ამოხსნეს

„ლელოს" 8 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული ვ. კალანდაძის (თბილისი) ეტიუდი სწორად ამოხსნეს: რ. გურულმა (ზესტაფონის რაიონი, სოფ. ქვედა საქარა), გ. ჭკადუამ (სოხუმი) და ო. ცუცქირიძემ (ხაშურის რაიონი, სოფ. ქვიშხეთი).

ეტიუდის ამოხსნაა: 1. მd5+ მფg6 2. ლe8+ მფh6 3. ლh5+ ლ:h5 4. მ:f5+ მფg6 5. მfe7+ მფh6 6. მg8+ მფg6 7. მe7×.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04885